ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის" რექტორის

ბრძანება № 02-02/144

ქ. თბილისი 29. 07. 2013

ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში" 2013-2014 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის შიდა მობილობის ვაკანსიების, ვადებისა და პროცედურის დადგენის შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის" მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის „ა-გ" ქვეპუნქტების, ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის" წესდების მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის; „საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის" VI თავის მე-4 და მე-5 მუხლების; ამავე უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის (1/1186, 23.07.2013), სოციალურ მეცნიერებათა და სამართალმცოდნეობის (1/1185, 23.07.2013) სკოლების (ფაკულტეტების) დეკანატების წარდგინებების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს ვაკანსიები შიდა მობილობისათვის 2012-2013 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში სკოლების (ფაკულტეტების) შესაბამისად:

   1.1. **ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის სკოლაში (ფაკულტეტზე)**

   1.1.1. ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით (საბაკალავრო პროგრამა, III სემესტრი) - 1 ადგილი;

   1.1.2. ეკონომიკის მიმართულებით (საბაკალავრო პროგრამა, III სემესტრი) - 1 ადგილი;

1.2. სოციალურ მეცნიერებათა და სამართალმცოდნეობის სკოლაში (ფაკულტეტზე)

1.2.1. ფსიქოლოგიის მიმართულებით (საბაკალავრო პროგრამა) - 2 ადგილი III სემესტრი, 2 ადგილი V სემესტრი;

2. 2013 - 2014 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის შიდა მობილობის ვადები განისაზღვროს შემდეგი წესით:

2.1. მსურველთა განცხადებების (შესაბამისი დეკანატის მიერ დამოწმებული სტუდენტის სასწავლო ბარათის ასლითურთ) მიღება საქმისწარმოებისა და სასწავლო პროცესის რეგულირების სამსახურში - 2 - 7 სექტემბერი;

2.2. კრედიტების აღიარება მიმღები სკოლების (ფაკულტეტების) დეკანატების მიერ - 9 - 10 სექტემბერი;

2.3. აღიარებული კრედიტების გაცნობა სტუდენტებისათვის - 11 სექტემბერი;;

2.4. სკოლების (ფაკულტეტების) დეკანატების მიერ მასალის წარდგენა შესაბამისი სამართლებრივი აქტის მოსამზადებლად - 12 სექტემბერი;

2.5. შიდა მობილობის ფარგლებში სტუდენტებისათვის სკოლის/საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის თაობაზე ბრძანების პროექტის მომზადება და გამოცემა - 13 სექტემბერი;

3. ბრძანება გასაცნობად დაეგზავნოთ: ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს; საქმისწარმოებისა და სასწავლო პროცესის რეგულირების სამსახურს; ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის, სოციალურ მეცნიერებათა და სამართალმცოდნეობის სკოლების (ფაკულტეტების) დეკანატებს; საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და ელექტრონული რესურსების რეგულირების სამსახურს;

4. ბრძანება განთავსდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე და საინფორმაციო დაფაზე;

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე, რექტორი

პროფესორი სერგო ვარდოსანიძე